

AW2

ანალიტიკური წერა

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალბა I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილას მდებარე არქეოლოგიური მუზეუმი განახლდა. ახლად გარემონტებულ შენობაში, საექსპოზიციო დარბაზებთან და სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრთან ერთად, სუვენირების მაღაზია გაიხსნა, სადაც იყიდება არქეოლოგიური არტეფაქტების ასლები, წიგნები არქეოლოგიაზე, ღია ბარათები და ა. შ. განახლების შემდეგ მუზეუმი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამავე ქალაქის სამხატვრო გალერეის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ამგვარი მაღაზიის გახსნა დადებითად იმოქმედებდა მათ ბიუჯეტზეც. ადმინისტრაციამ გააუქმა ერთ-ერთი საექსპოზიციო დარბაზი, რომელშიც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა პერიოდული გამოფენები იმართებოდა, და იქ სუვენირების მაღაზია გახსნა. მაღაზიაში იყიდება გალერეაში დაცული ექსპონატების ღია ბარათები, პლაკატები, წიგნები და ა. შ.

აღმოჩნდა, რომ გალერეის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გალერეის პოპულარობამ და შემოსავალმა კი არ იმატა, არამედ პირიქით, იკლო.

ახსენით სამხატვრო გალერეის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების წარუმატებლობის შესაძლო მიზეზები; გააანალიზეთ, რამდენად საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია ადმინისტრაციის ქმედების შესაფასებლად, მოიყვანეთ არგუმენტები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის

A series of 30 horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

დავალეზა II – გადაწყვეტილების დასაბუთება

დავალეზაში მოცემულია გადასაწყვეტი საკითხი, მისი გადაჭრის ორი შესაძლო გზა და ორი პირობა. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთი შესაძლებლობის სასარგებლოდ ორივე პირობის გათვალისწინებით. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევნის დასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ახლად დაარსებულ თეატრში უნდა დაიდგას სპექტაკლი. თეატრის ხელმძღვანელობას აქვს ორი არჩევანი:

1. დადგას ცნობილი კლასიკოსი მწერლის პიესა, რომელშიც მოქმედება ძველ დროში ხდება. პიესა მარადიული ფასეულობების – სიყვარულის, სამშობლოს ერთგულების, რაინდული მეგობრობის შესახებაა; სპექტაკლს დადგამს ცნობილი რეჟისორი, რომელსაც კლასიკური ნაწარმოებების დადგმის დიდი გამოცდილება აქვს. მისი ნამუშევრებით ყოველთვის დაინტერესებულია პრესა და ტელევიზია. რეჟისორი ძირითადად აკადემიურ სტილში დგამს სპექტაკლებს, მაგრამ ახლა აპირებს კლასიკური დრამის თანამედროვე ინტერპრეტაციით დადგმას: მოქმედების გადმოტანას დღევანდელ დროში, შესაბამისად, თანამედროვე კოსტუმების, სცენის რეკვიზიტების, მუსიკის და სხვ. გამოყენებას. სპექტაკლში ითამაშებენ გამოცდილი მსახიობები, რომლებიც შესრულების მაღალი ოსტატობით კარგად არიან ცნობილნი მაცურებლისათვის. ამ სპექტაკლის დადგმის შემთხვევაში, იგეგმება მისი სატელევიზიო ვერსიის შექმნა.
2. დადგას პოპულარული თანამედროვე მწერლის დრამა, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების, თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხების შესახებაა. სპექტაკლს დადგამს ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც ახლახან გამოვიდა ასპარეზზე. ის ფართო წრეებისათვის არ არის ცნობილი, თუმცა, სპეციალისტთა შეფასებით, გამოირჩევა ორიგინალური ხედვითა და სიღრმით. რეჟისორი სპექტაკლის დადგმას აპირებს ტრადიციულ, რეალისტურ სტილში, კლასიკური რეჟისორული გადაწყვეტით. ამ სპექტაკლისათვის მოწვეულნი იქნებიან ახალგაზრდა მსახიობები, რომლებსაც ნაკლებად აქვთ თეატრში მუშაობის გამოცდილება, თუმცა მათ წარმატებული როლები აქვთ შესრულებული ტელესერიალებში. ამ სპექტაკლის დადგმის შემთხვევაში, დასს მიეცემა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდული თეატრის საერთაშორისო ფესტივალში.

თქვენი აზრით, რომელი სპექტაკლი უნდა დადგას თეატრმა, თუ მას სურს:

- მოიპოვოს სერიოზული აკადემიური თეატრის სახელი თეატრალურ წრეებში.
- გახდეს პოპულარული, მიიზიდოს მაცურებელი.

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი თვალსაზრისის გასამყარებლად.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსათვის

A series of horizontal dashed lines for writing.